საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1499
13/05/2016

1499-01-4-201605131528

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის საჭირო თანხებისა და ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად აუცილებელი საწვავის ზედა ზღვრული ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 16 ივლისის №628 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №4291-01 და ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 22 თებერვლის №1756-01 წერილების შესაბამისად, სამსახურეობრივი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია ქალაქ ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის გამოყოფილი საწვავისა და მობილური ტელეფონებით სარგებლობის საჭირო თანხების ზედა ზღვრული ლიმიტების შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისა და სტრუქტურული ერთეულებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის საჭირო თანხებისა, და ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად აუცილებელი საწვავის ზედა ზღვრული ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 16 ივლისის №628 ბრძანების №2 დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით /დანართი თან ერთვის/.

2.ბრძანება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1 მაისიდან.

3.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, ზვიად ჯავახიამ.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/,მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5.ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ნოდარ მიქიაშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის საჭირო თანხებისა და საწვავის ყოველთვიური ზედა ზღვრული ლიმიტების შესახებ

№	სამსახური	მობილური ტელეფონებით სარგებლობისთვის საჭირო თანხების ლიმიტები /ლარი/	საწვავის ლიმიტები /ლიტრი/
1	ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური	270	1800 ლტ საწვავი 250 m^3 თხევადი დაჭირხნული აირი
2	ქალაქ ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის	280	750
3	ქალაქ ქუთაისის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური	300	150
4	ქალაქ ქუთაისის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური	250	350
5	ქალაქ ქუთაისის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	150	200
6	ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური	150	250
7	ქალაქ ქუთაისის მერიის სამხედრო სამსახური	150	200
8	ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური	600	1500
9	ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახური	760	1700
	ჯამი	3110	6900 ლტ საწვავი 250 m^3 თხევადი დაჭირხნული აირი